

თპუ
ჯანდაცვის ფაკულტეტის საბჭოს
სხდომის ოქმი №13

თბილისი

20 აგვისტო 2013 წ.

სხდომას ესწრებოდნენ:

ასოც. პროფ. ილონა საყვარელიძე, პროფ. ნინო ორმოცაძე, ასოც. პროფ. ელენე ნიკოზაძე .

სტუდენტები: მეგი ბირკაძე, ინნა დეისაძე.

სხდომის თავმჯდომარე: ასოც. პროფ. ილონა საყვარელიძე

სხდომის მდივანი: გაიანე გრიგორიანი

დღის წესრიგი:

აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქის, აბდულა მახმუდოვის, თპუ ჯანდაცვის ფაკულტეტზე, დიპლომირებული სტომატოლოგის ერთსაფეხურიანი პროგრამაზე ჩარიცხვის საკითხი.

მოისმინეს: თპუ ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის ასოცირებული პროფესორის ილონა საყვარელიძის ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ აბდულა მახმუდოვი არის აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქე, მან 2013 წელს დაამთავრა მუნიციპალური სახაზინო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება დაღესტანის რესპუბლიკის ტლარიატინსკის რაიონის სოფ.ნაჩადას „ნაჩადინის საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 13 აგვისტოს №589 ბრძანების საფუძველზე მან მოიპოვა სწავლის უფლება ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე. აბიტურიენტის პირადი განცხადების საფუძველზე აბდულა მახმუდოვი ჩარიცხება თპუ-ში ჯანდაცვის ფაკულტეტის დიპლომირებული სტომატოლოგის ერთსაფეხურიანი პროგრამაზე.

აზრი გამოთქვას:

პროფესორმა ნ. ორმოცაძემ, პროფ. ტ. ზუბიაშვილმა, ასოც. პროფ. ელენე ნიკოზაძემ .

ჯანდაცვის ფაკულტეტის საბჭომ კენჭისყრის შედეგად ერთხმად გადაწყვიტა:

1. აბდულა მახმუდოვს მიეცეს უფლება განახორციელოს სწავლა თპუ ჯანდაცვის ფაკულტეტზე, დიპლომირებული სტომატოლოგის ერთსაფეხურიანი პროგრამაზე 0 (ECTS) კრედიტის აღიარებით.
2. ეთხოვოს თპუ რექტორს აღნიშნული გადაწყვეტილების ბრძანებაში ასახვა.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე:

ი.საყვარელიძე

სხდომის მდივანი:

გ. გრიგორიანი

